

1950

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Обязательный заказчик

ქარხანა უფროსი ხუთნაირის
გეგმავს ანბარი

22
30/1
1

ნ.ბ. ა. ქოქიაშვილისა

კალენდარი ჩამოკრა

გამყიდველი—ბარემ ეს ახალი კალენდარიც შეიძინეთ!

სტახანოველი — ეს ჩვენთვის მოძველებულია. ჩვენი ქარხნის კოლექტივი უკვე 1960 წელსი შევიდა.

ნ ი ა ნ ბ ი

№ 1. თბილისი. 1950 წ. გამომცემლობა „კოოპერისტი“.

გამოდების წელი XXVII.

ფასი 2 მან.

ხატარა 1 სურათად

მოძველნი:

1. ალი - თურქი
2. ჰარი - ამერიკელი

მოქმედება სწარმოებს თანამედროვე თურქეთში

(ცაზე მოსჩანს მთვარე და ვარსკვლავები. სასახლეო ბოძის გვერდით ალი ხალიჩაზე ზის, თავზე „ფესკა“ ახურავს, ხელში კრიალოსანი უჭირავს და ბაიათს მღერის. შემოდის ჰარი, სათვალეებით, ხელში ჯოხი უჭირავს, წამოსასხამი მკლავზე გადაკიდებული აქვს, უპიჯაკოდაა. ალი ჩოქვით ეგებება).



ჰარი—აუ-ღუ-ღუღუ. ალი-ყული-ბაირამ ბილყაი-ოღლუ!

ალი—სალამაღიქუმ მისტერ ჰარი ბრახ-ბრუხ-აგრესონ! ო, რომ იცოდეთ, რა ქიშმიში მოგიმზადეთ!

ჰარი—მშვენიერი ღამეა... შეხედეთ, მთვარე...

ალი—ამერიკულად ანათებს, ძვირფასო სტუმარო!

ჰარი—ზღვა ღელავს...

ალი—ამერიკულად, მისტერ ჰარი!

ჰარი—თევზებიც...

ალი—ამერიკულად ცეკვავენ...

ჰარი—დარდანელიც...

ალი—დარდინად აღარ გახლავთ თქვენი მოზრძანების გამო.

ჰარი—თოლიებიც...

ალი—ამერიკული თვითმფრინავებით და-ჰფრენენ და საზღვარს გადადიან.

ჰარი—სხვა, როგორ ბოძანდებით, ძვირფასო ალი?

ალი—თუ ალაჰმა გვიცოცხლა თქვენი თავი, არ შემომაკლდება ფითი და ფლავი; ხანდახან მაწუხებს მარცხენა თვალი!

ჰარი—ჰოო! მე ვიცი მაგისი წამალი. მომირთმევია ეს ამერიკული შორსმჭერეტილი სათვალე.

ალი—აი, სალოო! (იკეთებს) მაგრამ უნდა მოგახსენოთ, შორს კი არა, ახლოსაც ველარაფერს ვხედავ... მაინც, რა კარგია, რა მშვენიერია... ჩვენი ნამგალა მთვარეც კი უხილავი გახდა.

ჰარი—მე ხომ მხედავ?

ალი—როგორ არა, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ჰარი—ჰო და, ჩემს იქით ხედავ თქვენთვის საზიანო!

ალი—ბილირამ, ბილირამ! იახში, იახში!

ჰარი—ხომ აღარ გტკივა, ალი, თვალი?

ალი—იოხ, მისტერ!

ჰარი—აი, მიირთვი, ალი, ეს ტკბილი! (აძლევს შოკოლადს, ალი ჭამს).

ალი—რა კარგია, მაგრამ მატკინა კბილი. (აჩვენებს კბილს).

ჰარი—ოქროს კბილი დადინახე. ოქრომ ტკივილი იცის! კარგად მაჩვენე... ოოო! რამდენი ოქროები გქონიათ თურქებს!

ალი—რა ვქნათ... შავი ღლისათვის ვინახავდი და გამომადგა კიდეც!

ჰარი—ასე როგორ შეიძლება! ერთიც ვნახოთ და ყელში გადაგიცდეთ, ხომ სამუდამოდ დაჰკარგავთ? ოქროს ინახავენ არა პირში, —არამედ ბანკში!

ალი—მისტერ აგრესონ! თქვენი ბანკები ოქროთი გადატვირთულია. შეწუხება არ გვინდოდა, ვაი თუ ადგილი არ გქონდეთ!

ჰარი—როგორ გეკადრებათ! მაგ საქმეში ჩვენ დაგეხმარებით. პირი დააღეთ! (აძრობს) ხომ არ გტკივათ?

ალი—პირიქით! ისე ოსტატურად ამომადრეთ, რომ პირდაპირ სიამოვნებისაგან აღტაცებული ვარ! მხოლოდ...

ჰარი—რა? სიცარიელეს გრძნობთ? აი, მაგისათვის უებარი საშუალება (აძლევს) ამერიკული საღებავი რეზინი. სიცარიელესაც ამოივსებთ და თავსაც შეიქცევთ... (ალი ღეჭავს რეზინს).

ალი—(წამოიყვირებს) ვაი...

ჰარი—რა მოგივიდათ, ალი?

ალი—ძლიერ მტკივა, სიცარიელე მაწუხებს!

ჰარი—სამაგიეროდ, ხომ შეგმოსეთ, ჩაგაცვიოთ... (ხელს შეავლებს კოსტიუმზე.)

ალი—იოხ, მისტერ! ეს ჩვენმა ძველმა მეგობარმა, გერმანიამ ომის დროს გვისახსოვრა.

ჰარი—გაიხადეთ, ჩვენ უკეთესს გამოგიგზავნით!



(ალი იხდის და იცვამს ჰარი)

ალი—როგორ გიხდებათ. პირდაპირ თქვენს ტანზე შეკერილი! ჩინებულია...

ჰარი—(გული შეუწუხდება და დაბარბაცდება) ვაი!

ალი—რა მოგივიდათ მისტერ, ხომ არ გტკივათ?

ჰარი—ჩინებულის ხსენებაზე ჩინეთი მომაგონდა. ამერიკელებთან უნდა ერიდოთ ისეთი სიტყვების ხმარებას, როგორიცაა ჩინეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, უნგრეთი...

ალი—(აწყვეტინებს) და რომ ვახსენოთ თურქეთი, მაშინ კი გულზე მოგეშვებათ. (ალი იშმუშნება).

ჰარი—რა გაკანკალებთ, ხომ არ შეგცივდათ?

ალი—არა, სასიამოვნოდ მცივა! (ჯიბიდან იღებს სათუთუნეს) ასანთი ხომ არა გაქვთ?

ჰარი—ასანთი კი მაქვს, თუთუნი თუ გაქვთ!

ალი—ოო, თუთუნი, მაგრამ რა თუთუნი

ჰარი—(გამოართმევს) სამაგიეროდ მიიღეთ ამერიკული ჩიბუხი. (აძლევს)

ალი—გარედან თქვენი ჟურნალივით პრიალებს, მაგრამ შიგ რომ არაფერი ყრია? რა ჩაყარო, თუთუნი რომ აღარ მაქვს?!

ჰარი—თოფის წამალი... დიახ, დიახ... ჩვენი დახმარებით ისე გაგაძლიერებთ, რომ ყოველი თურქის სახლს, ბუხარის ნაცვლად — ზარბაზნის ლულას გაუუკეთებთ! უკვე წასვლის დროა...

ალი—(საათზე იცქირება) ასე რატომ იჩქარით?

ჰარი—საბერძნეთს მივეჩქარები... ეგ რა გიბრწყინავთ მაჯაზე?

ალი—საათი გახლავთ!

ჰარი—წარმოშობა?

ალი—გაურკვეველია...

ჰარი—ჰო და მაგას ჩვენ გამოვარკვევთ. (ხსნის საათს).

ალი—როგორც გენებოს! (დადის კოჭლობით).

ჰარი—რატომ კოჭლობ, ალი?

ალი—ფესსაცმელი მიჭერს, მისტერ!

ჰარი—გაიხადე, გეთაყვა, გაიხადე... ჩვენ გაგიწევთ...

ალი—(იხდის) ფესსაცმლის ნაცვლად საზღვრებს რომ გაგვიწევდეთ...

ჰარი—ეგ უსაზღვრო ოცნება საზღვრის შესახებ მერე იყოს! ჩემი დახმარება არ დაივიწყოთ!

ალი—რას ბრძანებთ! დიდად პატივნაცემი გახლავართ თქვენგან!

ჰარი—ბიქვაიტ... კმარა ლაპარაკი... გულბაი... (მიაქვს ყველაფერი და მიდის).

ალი—სალამათკალ, მისტერ აგრესონ! ვიცი რომ გქირდები და იმისათვის მეფერები, მეც მქირდები და ამისათვის გეფარები, და როცა შეგატყობ, რომ შენი საქმე ცუდად მიდის, მერე სხვა ძიას შევეფარები! (ფეხს მოირთხამს ხალიჩაზე, სათვალეს, ჩიბუხს და საღებავ რეზინს დასცქერის და ნალვლიანად მღერის ბაიათს).

ფარდა

ა. გომიასვილი



კოჭითხვით და ნახვის ნახვით

საბაკოშოს რაიონის სოფ. გომბორის კოლმეურნეობის თავ-
მჯდომარეს გრიგოლ ხვეულს

აღბათ არ გაგიკვირდებათ, პატივცემულო გრიგოლ, რომ ამ
შუა ზამთარში, მწვადებისა და ყაურმოხის გახურებულ სეზონის
დროს გაგიხსენეთ. ჩემამდე ამბად მოაღწია იმ გარემოებამ,
რომ ზემოდ ნახსენები ნერწყვისმომგვრელი კერძები ძაღვს გყვა-
რებიათ. მაგას რა ჯობია!

მაგრამ, პატივცემულო ხვეულო, თქვენს კოლმეურნეობაში
34 სულმა მსხვილფეხა რქიანმა საქონელმა რომ საითღაც გადაუხვია
და ფერმის დანარჩენი პირუტყვი დააობდა, ეს არც იმდენად სა-
ხარბიელო საქმეა! ვიცი გაგელიმებათ და იტყვით: რა ვუყოთ.
მეც ხომ ბოჭორმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაბრიელ გი
გაურივით ფერმის პირუტყვის ნახევარი მშვიერი არ დამიტოვებია
და სიმშვილით არ დამიხოცია, ყველა დასაკლავი უნდა დაიკლასო,
მაგრამ ეს ვერაფერი არგუმენტია, ჩემო გრიგოლ! ასე რომ იყოს,
თავს ადვილად გაიმართლებდა სართიჭადის კოლმეურნეობის თავ-
მჯდომარეც, რომლისადმი რწმუნებულ ფერმაში 30 სულმა მსხვილ-
ფეხა რქოსანმა საქონელმა საკუთარი თავმჯდომარის ჭირი
წაიღო.

გომბორში, თურმე, ხმები დიდის: ჩვენს თავმჯდომარეს ამ-
დენი პირუტყვი ხელიდან იმიტომ გამოეცადა, რომ საქონლის ხორცი
არ უყვარს და ღორის მწვადს კი ეტანებაო. ჩვენ, ეს მოჭორილი
ცნობები, რასაკვირველია, არ გვჭერა. ასე რომ იყოს, უჭარბედი
კოლმეურნეობის თავმჯდომარე იოსებ მეცხვარიაშვილი უსათუოდ
შეასრულებდა ქათმების მოშენების გეგმას. მას ხომ სულზე უფ-
რო მეტად უყვარს ქათმის ხორცი, მაგრამ გასულ წელს გეგმით
გათვალისწინებულს მაინც დააკლო 400 ფრთა ქათამი.

ჩვენ პირიქით ვფიქრობთ, პატივცემულო ხვეულო, თქვენი
კოლმეურნეობის ზარადი უსათუოდ ძროხის მწვადის სიყვარულის
შედეგია, მწვადებით გატაცებამ ზოგჯერ საქმის დავიწყება იცის,
თორემ ეს რომ ასე არ იყოს, თქვენსოფელს ერთ-ერთ კოლმეურ-
ნეობის თავმჯდომარეს 17 სული საქონელი ხელიდან არ გამო-
ეცდებოდა.

ვიცი გეწყინებათ და იტყვით, ამოდენა რაიონში რაღა მე
ამომარჩიე, განა ჩემზე ნაკლები უთავბოლო ხაღხია ჩვენებური
კოლმეურნეობის თავმჯდომარეები მიხეიდ დაფაჩიშვილი ან სარ-
თიჭადელი ბექაური, რომლებმაც პირუტყვი მშვიერი დატოვეს და

ახლა ძველი თქმულების თანახმად კატის დაჭერას ცდილობენ,
რომ გუდაში ჩასვან, ბოსდის ჭერზე ჩამოჰკიდონ და მისი ფსა-
კუნ-კნავილით პირუტყვი როგორმე გაართონ გამოზაფხულებამ-
დო? მაგრამ მოთმინება იქონიეთ, ერთ ღლეს არც თქვენ დაგო-
კლავთ აღბათ 34 სული საქონელი!

ჭერჭერობით კი მხოლოდ შორეული მოკითხვა გადაეცით
თქვენს მიერ დასახელებულ მეგობრებს.
თქვენი ახლოს ნახვის მონატრული

ნახვი

ამერიკული თავისუფლება

ნახ. ა. კანდელაკისა



— მეც გავიგე ჩვენი თავისუფლება: გუშინ სამუშაოდან გა-
შანთავისუფლეს, კუჭი და ჯიბე კარგა ხანია თავისუფალი. მაქვს,
ხოლო ქირის გადაუხდელობის გამო დღეს ბინისგანაც გამანთავი-
სუფლეს.



1859-1894

სახელიწაჲ კარგელი მწერალი იენაბე ნინოშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, არც თუ ისე დანა
 მოხუცი იქნებოდა, რომ ამ სახატში წარმოდგენილი იყავი ქართველთა შორისმავლობა ვერ შეეცნო:
 ახალი გურიის აუჯანყებულ მინდვრებზე ის ბედნიერ კულმურენოთა ტკილილი ნაღური, ჩაისა და
 ციკრუსების პლანტაციებში ხალხისაჲს შრომის მღერა გუგუნეს, პალიატრის ტანზე მოსრიალულ მო-
 ტორიან ნავეთიან ტომსნის მიმევების ბედნიერად ჰაღაზრადებო.
 სოფელად სიციცხლე სკივს, ელექტრონის სადღეს შუქი აუგზია ღამაში გურული ოღები, წი-
 ვნი და ვაზები, მაგესა და რადიო დამკვირვებელ ყოფი-ცხოვრებაში აუღაგან სკოლაში თუ
 ბიბლიოთეკაში, თუგანში თუ კლუბებში სტალინური პიქტის შუქი სრწინავს, ახალი, ცხოვრების შენიჭე-
 ზი ემირების საუბრითა იმის სამაყუ მოღწევებზე.
 რა სახარულით ვადახედედი, რომ მისწრება ამ ადამიანების ბევრივე ცხოვრებას, ჯენი საბჭოთა
 დროის ჩაინდებს საუკრელი მწერალი, ჩაგრულულის გულის შესაიდუმლედ იენაბე ნინოშვილი, რო-
 მელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში სწებობდა უმწეველების, მუნწაყვების, უნალოშვილე-
 ზისა და ძალაძების ბედნიერ მომავალზე.



ექვსი მეგობრის ამბავი

ქართული
ლიტერატურა

ინსტიტუტი დაამთავრეს...
და მათ შორის, სხვათა შორის,
გახლდათ ექვსი მეგობარი,
ბრგე ვაჟკაცი, ვეფხვის სწორი,
საქართველოს ექვსი კუთხის
გამოზრდილი, მკვიდრი შვილი.
ყველა იყო აგრონომი
(ჯერ არც ისე გამოცდილი).
ერთ სალამოს, ერთ ოჯახში
მოიყარა თავი ყველამ
და ექვსივემ სათითაოდ
თავის კუთხე გაიხსენა:
— რა ვქნა, უნდა გამოგიტყდეთ,
მომენტა კახეთიო.
არ მეგულისხმებო სხვა კუთხე
არსად—მსუყე აგეთიო,
ჩვენებური ღვინის გემო
კაცს ქუთაში დაგიჯდება,
ყანურატოში რომ მოგხვდება,
ფეხის ფრჩხილში გაგიჯდება!
იმერელმა ერთი წაძით
ულვაშებში ჩაიცინა
და შემდეგ სთქვა:—იცი, ძმაო,
ბევრ რამეში ჩვენც ვართ წინა.
ჩვენს ქუთაისს, ინდუსტრიულს
რომ ვაშენებთ გაქანებით,
მაღე კარზე მოგადგებათ
ქუთათური მანქანები
ჩვენს წყალტუბოს ვინც ეწვია,
ვის არ სძინავს მოსვენებით!..
სახალინზეც კი შეგვივდება
ქუთაისის კოსსერებო!
მეგრელმა სთქვა:—საამაყო
ჩვენც ბევრი გვაქვს, ჩვენიც კმარა

და ოცნებით ინგური და
კოლხიდმშენი მოიარა.
აჭარელი ჩაფიქრდა და
გაილიმა კმაყოფილად:
— ჩაი მოგვყავს იმისთანა,
ცვილონი რა ყოფილა?!
ეგ ლომონი რომ გიყვართ და
მანდარინს ფეკენით ამოდენას,
იმ ვაგონებს ხომ სჭირდება
გავსება და გამოტენა!
რაქველმა სთქვა:—მე რა გითხრათ,
ლაპარაკი არ ღირს ასე,
ამბროლაურს ვენახი მაქვს,
ონში ქვევრი, ღვინით სავსე.
მობრძანდით და გიმასპინძლებთ,
აბა, ერთი მაშინ ნახეთ,
ჩვენებური ღვინის გემო
ცხრა წელიწადს თუ არ გაგყვით.
ქართლელმა სთქვა:—ტირიფონა
შირაქზე თუ პატარაა,
თავის ხეავით და ბარაქით
საამაყო რად არაა?!
თავს ვანებებ გორის ატამს,
ტოტით ტოტზე გადაწულსა
და მის ნაყოფს, კობტა გოგოს
ლოყებივით დაბრაწულსა.
ნუ ვახსენებთ იმ ტკბილ ყურძენს,
სიმღერაში რომ უქიათ—
საამაყოდ ის გვეყოფა,
ჩვენს ქალაქს რომ გორი ჰქვია!
აქ კი უცბათ ერთმა აზრმა
შეაჩერა ერთ წამს ყველა,
სთქვეს—ქართლელიო, მაგ ქალაქს კი
ვერ დავითმობთ მარტო შენა.

ეგ ქალაქი, ჩვენი გორი.
იცი, ძმაო, რა ხანია
ყველას გულში დაბინავდა,
ყველა გულის აკენია!..
შემდეგ დიდხანს იბასეს,
(ღვინოს სვამდნენ, განა მშრალად).
დაწვრილებით აღარ მახსოვს,
კიდევ ვინ რა ჩამოთვალა.
ვინ და რა არ გაიხსენეს,
სადღეგრძელოს ყველა ცლიდა,
მიღწევები მოიყვანეს,
ბუნხალტერი ვერ დათვლიდა!
მაგრამ იცით, მეორე დღეს
რა შეემთხვათ, ან რა მოხდა?
რაქველს ხონი შესთავაზეს,
აჭარელი კახეთს მოხვდა,
ქართლელს შეხვდა ქობულეთი,
სამეგრელო ერგო კახელს,
იმერელი რაქაში და
მეგრელი კი სკრაში ნახეს.
და მათ შორის თუმცა დარჩა
ზზა, მანძილი, არც ვრცელი,
მეგობრები მაინც სწერენ
ერთუროს ხშირად ასეთ წერილს:
„იცი, რაა, ძმაო, ხონი“?
„აი, მესმის, ეს კახეთი“!
„რა ყოფილა სამეგრელო,
ჩამობრძანდით, ნახეთ ერთი!“
სიხარულის და სილაღის
გრძნობა ავსებს ვრცელ ბარათებს,
რადგან ჩვენში ყოველ კუთხეს
სტალინური მზე ანათებს!

გ. ივანიშვილი

პარაკაზი ნაკვეთი

ნახ. გ. ლომიძისა

უაზისგავი ინკუბატორი

ამერიკელი ომის გამაღებლები აგროვერენ და აიარაღებენ გა-
დარჩენილ ჰიტლერულ ოფიცერებს, რომლებიც სურთ გამოიყენონ
დასავლეთ გერმანიის სამხედრო ძალების შესაკოწიწებლად.



იანკი, აღენაუერს
საკენკს უმარჯვეებს უხვად,
ბნელ საბუღარში ჩაუხვამს
იგი ფაშისტურ კრუხადა

და მის უდღეურ წიწილებს
ჩეკავს ჰიტლერულ ფრთონებდალ,—
მაგრამ რა უილაჯოა
მიხი ზრუნვა და ოცნება.

გ. გ.

1. მარტო მიტნურები როდი დაპარაკო-
ბენ თვადებითო, სთქვა ბუხპატერმა და
დირექტორს გადახედა.


2. „ერთი სიტყვითო“, სთქვა მომხსენე-
ბელმა და აღარ ახსოვთ რამდენი ილაპა-
რაკა.

3. მწერალთა კავშირში ერთმა მთან-
მინდაზე მცხოვრებმა იკითხა:

— ჩემი მგზავრი ვინ არი?! მთანმინ-
დაზე ვინ მოდისო?!

— შე კაი კაცო, მოგვიცადე! ყველა იქ
ასასვლელი არა ვართო?!—ერთხმად შესძახეს
კოლეგებმა.

4. 2 ნომერი ტრამვაის ვატმანი „5 ნო-
მრით“ დათვრა და ტრამვაი ვაკისკენ გაა-
ქანა.



ტელეგრაფისტთა ცეცხობა

22 ნოემბერს მოქ. თ. აგლაძემ სასწრაფო დეპეშა გაუგზავნა საგარეჯოში ნათესავს, სოფელ უჯარმის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს პავლე იჩიტიძეს:

„მამა გარდამეცვალა ვასაფლავებთ ხუთ-შაბათს

თ. აგლაძე.“

ჩვენ არ ვიცით თბილისის ლენინის რაიონის № 1 საფოსტო განყოფილების მუშაკებმა, თუ საგარეჯოს ფოსტის მოსამსახურეებმა „შეასწორეს“ და თავისებურად „შეალა-მაზეს“ ეს დეპეშა, აღრესატმა კი ასეთი „შინა-არსით“ მიიღო: „საგარეჯო სოფელი უჯარ-მა. მასწავლებელ პავლე იჩიტიძეს. მამა გარ-დაიცვალა ვასაფლავებთ ხუთშაბათს“. „ფიზი-კურსი“ ტელეგრაფის მუშაკებმა დეპეშის ბო-ლოს მოაშორეს თედო აგლაძის ხელმოწერა. ამიტომ იყო, რომ პავლე იჩიტიძემ გარდაც-ვლილად საკუთარი მამა მიიჩნია და სასწრა-ფოდ შეუდგა თადარიგს „მისი დასაფლავე-ბისათვის“ უჯარმელმა მასწავლებლებმა გა-იზიარეს თავიანთი კოლეგის მწუხარება და სასწრაფოდ აფრინეს დეპეშები სოფელ

ლორეშაში პავლეს მამის — ნიკოს გარდაცვა-ლების გამო.

ასეთივე ფაქტი იმ დღესვე გაიმეორეს თბი-ლისის სტალინის რაიონის ფოსტის მე-12 განყოფილებიდან ამხ. ვლ. გალდავას მიერ გაგზავნილ დეპეშაში:

„ჩონატაური ბურნათი ლევანტი ძნელაძეს ლაღო სასწრაფოდ ჩამოვიდეს თბილისში გ. გალდავა“

ეს დეპეშა შემდეგნაირად იქნა მიღებუ-ლი: „ჩონატაური. ბურნათი. ლევანტი ძნელაძეს“ და სწორედ ამან გამოიწვია ის გაუ-გებრობა, რომ ლევანტის ძმას და მეგობარს ლაღო არ ერქვა და თბილისში გამოძახებუ-ლი პიროვნება დროზე ვერ წამოვიდა სოფ-ლიდან. გაკვირვება გამოიწვია იმანაც, რომ გალდავას მაგივრად დეპეშაზე ხელს აწერდა ვინმე ბურაგავა.

კიდევ მოვიყვანდით ასეთ მაგალითებს, მაგრამ აღნიშნული ფოსტის განყოფილებების თანამშრომელთა საერთო კრებაზე რაღა უნდა გააკეთონ?

ვლ. ძნელაძე

სუსის გაღმა და გაშოლა

(სოფ. ძიმითი, მახარაძის რაიონი)

გულით გვინდოდა, ნინავო,
თქვენი მოწვევა... სტუმრობა...
მაგრამ ძიმითში ჩამოხვალა
თქვენ არ გეგონათ ხუმრობა.
წინ ჩამოგვიდის მდინარე,
იგი საკმაოდ დიდია,
მას არც ფონი აქვს, არც ნავი,
არც ბორანი და ხილია.

მდინარეს ნაკადულივით
სულ არ სჩვევია სინაზე,
ეს ჩვენი სუფსაც ზვირთდება
ჩვენს ძიმითლების „ჯინაზე“.
და გაღმა ვეღარ გავდივართ,
მოვწყდით ქალაქს და მეზობელს,
როგორ მოვიქცეთ, ნინავო?
ხიდი სჭირდება ჩვენს სოფელს.

გ. ხ.ლო

გარათუბი ნიანგს

პატივცემულო ნიანგო!

რუსთაველის პროსპექტზე, № 44 სახლში მცხოვრებთ ერთი პატარა სათხოვარი გვაქვს: ჩვენი სახ-ლის პირველ სართულზე მოთავსებული „სახვებტრესტის“ სასაუბე, რომლის სამზარეულოს ქურა, ტექნი-კური პარატების თან. ხმად, გათვალისწინებულია შეშით გათბობისათვის. გათვალისწინებულს კი — არავინ ღვთისწინებს და ქურა ხურდება ქვანახშირით. ამის გამო ეხში და აივნებზე ყოველ დღეს ერთი ცილის სისქე ჭვარტლი გვიხვდება და გაძურულ-გათხუპნულები ერთმანეთს ვეღარა ვცნობთ.

რა იქნებოდა, პატივცემულო ნიანგო, რომ „სახვებტრესტის“ სასაუბის ნახშირის მტვერის ყლაპვი-საგან გავეთავისუფლებინეთ?

მოზინადრეები

საუყვარლო ნიანგო!

თბილისში, ლენინის რაიონში გვაქვს ერთადერთი აბანო. ამ აბანოს დირექტორის მთელი გულისყუ-რი მხოლოდ ნომრებს ექცევა. საერთო განყოფილებაში შესულ კაცს კი თავ-ბედის წყევლა მოეღოს. ცხელი წყლის ონკანთან გასაღებებს მეტისხეობით დაუფლენ, ამათვე ეკუთვნით ყველაზე ფართო ტახტები და, თუ რაიმე საშუალებით მათი გული არ მოიგვ, გაყინულ-გასაპნული უნდა გამოვიდეთ აბანოდან.

ხდება ისეც, რომ ცივი წყლის ონკანებიდან შემთხვევით წამოვა ხოლმე მღუღღაო წყალი და გა-ფუფქული მოზახვები წივილ-კივილით გარბიან აბანოდან.

პატარა სათხოვარი გვაქვს, საყვარლო ნიანგო, მოზრდანი და ამ აბანოს დირექტორი როგორმე შეუშვას საერთო განყოფილებაში. ენახოთ, ერთი, როგორ გუნებაზე გამოვა, ამჟამად რომ არც სცივა და არც სცხელა.

სარედაქციო კომისია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. Редакции მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 14/1. ტექსტი აწუბილია ლ. პ. ბერიას საპ. პოლიგრაფკოპიონატ „კოპუნისტის“ სტამბაში. შეკ. № 24. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ხარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანზე, შეკ. № 123. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 4. ტირ. 11000 უკ. 01049

ვინა ვაბ?

(ჩხოროწყუ)

მონათლული ვარ აბანოდ,
ჩხოროწყუს დაბას ვამშვენებ,
ათი წლის უკან დამიწყეს,
დიდი ამბავით მაშენეს.
მეგონა, სუფთად ვიქნები...
კუჭი ხომ დასაძრახია,
მაგრამ გჯეროდეთ, ერთხელაც
წყალი მე არ მინახია.
თავლად ვიქეცი ერთხანად,
დამთხუპნეს, გამანიავეს,
ჩემზე ჭორებად ყვებოდნენ
ოცდაათნაირ სიავეს.
ვიყავი საცხოვრებელიც,
მდგმური მეყენა ბლომად,
მთთან მოვიდა, თუ ჩემთან,
ერთხელ, კომგანი მომადგა.
გამზომეს, შემალამაზეს,
გვერდზე დამიდგეს მილები,
წყალსაც შემპირდნენ, არა ჩანს
და მოლოდინში ვიღვები.
მთლად გამიცრუვდა იმედი,
კვლავ საცხოვრებლად მაძიეს,
ენა რომ მქონდეს, ვაძხვდი
ამ სასაცილო საქციელს).
ძმასავით შეგთხოვ, ნიანგო,
გამიგო მე თუ ვინა ვარ,
ისევ აბანოდ ვითვლები,
თუ სამყოფელი ბინა ვარ?

შ. ძვარცხავა

ჩანგალი დახმარა

● ბორჯომის რაიჯანმრთელობის სისტემაში და მთელ რიგ სხვა დაწესებულებებში დარღვეული იყო საშ-ტატო დისციპლინა. ზოგიერთ ბუხმალტერსა და ექიმს შეთავსებული მქონდა რამდენიმე თანამდებო-ბა და ლეზულობდა ყველგან მთლიან საგანაკვეთო ხელფასს.

„ნიანგმა“ № 17-ში ამხილა ეს უკანონობანი.

სხრკ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევი-ზიო სამმართველო გვაცნობებს, რომ ჩვენს მიერ მხილებული ფაქტები დადასტურდა. საშტატო დის-ციპლინის დარღვევების გამოსასწორებლად მიღებუ-ლია ზომები. ამ საქმეში დამნაშავეთა პასუხისმგებაში მისაცემად მასალები გადაგვავნა ბორჯომის რაი-პროკურორს. კონტროლიორ-რევიზორ კუდუხაშვილს დაედდა დისციპლინარული სასჯელი.

● „ნიანგის“ № 19-ში გამოქვეყნებული იყო მამხილე-ბელი წერილი ახალქალაქის რ-ნის სოფ. გაგოშენის მღვინოვსკის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომე. ალექსანდრე თაქთაქიძის ბოროტმოქმედებათა შესა-ხებ. თაქთაქიძე სისტემატურად არღვევდა აღრიცხვი-სა და ანგარიშგების წესდებებს და ანთავებდა კოლ-მეურნეობის ქონებას.

მშრომელთა დეპუტატების ახალქალაქის რაისაბკოს აღმასკომი გვაცნობებს, რომ აღნიშნული ბრალდება მთლიანად დადასტურდა. თაქთაქიძე მოხსნილია თა-ნამდებობიდან და თავის თანამონაწილეებთან ერთად მიცემულია პასუხისმგებაში.



— ეს რა საყინულეა: რატომ პალატებს არ ათბობთ?
— რა საჭიროა, ბატონო, იხედავ ყველას 40° სიცხე აქვს.

10/10 (5)